

## აბაშის მუნიციპალიტეტი

### სახლ-მუზეუმები

მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი

საკონტაქტო პირი: სპირიდონ პერტენავა /მუზეუმის ხელმძღვანელი/

მისამართი: აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძვ. აბაშა

ტელეფონი: 577 03 51 85

ელ.ფოსტა: [kultura.xelovneba2018@gmail.com](mailto:kultura.xelovneba2018@gmail.com)

სახლ-მუზეუმის დაფუძნების თარიღი: 1983 წელი.

იურიდიული სტატუსი: სახლ- მუზეუმი ა(ა)იპ-აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია

ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით მიმდინარეობს კლასიკოსი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის კომპლექსის მშენებლობა-რეაბილიტაცია.



პროექტი ითვალისწინებს ახალი, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუზეუმო კომპლექსის შექმნას.

გათვალისწინებულია კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახის მემორიალური გარემოს რეკონსტრუქცია. XIX საუკუნის ეთნოგრაფიული გარემოს აღდგენა (შესაბამისი ინტერიერის მეგრული კარ-მიდამო) და მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების წარმოჩენა ლიტერატურის, ხელოვნებისა და ქვეყნის ისტორიაში

მისი წვლილის ჩვენებით.

სამუზეუმო კომპლექსი რამდენიმე ზონის მოწყობას ითვალისწინებს. მათგან პირველი ვიზიტორთა მიღების, საინფორმაციო, სამუზეუმო-საექსპოზიციო ზონა იქნება, სადაც ვიზიტორთა მიღების არეალები განთავსდება.



\*კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

## მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმი

საკონტაქტო პირი: ელენორა ჩიქოვანი

მისამართი: აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაესაკოვო

ტელეფონი: 599 00 27 30

ელ.ფოსტა: [kultura.xelovneba2018@gmail.com](mailto:kultura.xelovneba2018@gmail.com)

სახლ-მუზეუმის დაფუძნების თარიღი: 2013 წელი

იურიდიული სტატუსი: სახლ- მუზეუმი ა(ა)იპ-აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია

„ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი, ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე, ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!...“

„ეს პატარა ლექსი იყო „ეპოქის სისხლისა და ცრემლის ის ერთი წვეთი“, რომელიც პოეტმა ქვეყნისა და ადამიანების ამალღებისა და უსასრულოობის სიმღერად აქცია“.

თამაზ ჭილაძე

2013 წლის 1 მარტს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაესაკოვოში გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის - სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმი გაიხსნა.



აღიარება პოეტს ქართველი ერისგან არასოდეს დაჰკლებია, თუმცა მშობლიურ სოფელში საკუთარი სახლ-მუზეუმის გახსნა მისი სახელის კიდევ ერთხელ უკვდავყოფაა.

სოფელ ნაესაკოვოს ცენტრში კოპწია ოდა მუდამ შეახსენებს მომავალ თაობას, რომ ამ სოფელში ქართველი ერის საამაყო შვილი და შესანიშნავი მგოსანი სიმონ ჩიქოვანი დაბადებულა.

სახლ-მუზეუმი არის შემოქმედებითი სახლი, პოეზიის

სახლი, ლამაზი, ჩუქურთმებით დამშვენებული ხის „დიდი სახლი“, სადაც ხშირად იკრიბებიან პოეტები, სიმონის ნიჭის თაყვანისმცემლები და დამფასებლები.

სახლ-მუზეუმში დაცულია პოეტისა და საზოგადო მოღვაწისეული ავეჯის ნაწილი, პირადი ნივთები, ხელნაწერის ასლები, პორტრეტები-ფერწერული ტილოები, სკულპტურა, ცხოვრებისა და შემოქმედების, მისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ამსახველი ფოტოსურათები, ბეჭდური გამოცემები, მათ შორის ძველი წიგნები, წინაპართა სურათები, პოეტის დის ხელნაწერი.



მუზეუმის შესასვლელი ბილეთების ფასი: უფასო

მუზეუმის მუშაობის განრიგი:

სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი–11 სთ-დან 18 სთ-მდე;

შაბათი–კვირა – 10 სთ-დან 16 სთ-მდე; დასვენების დღე-ორშაბათი